



TBILISI HUMANITARIAN  
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

სხდომის ოქმი № 11 / 2017

თბილისი

11 დეკემბერი 2017 წ.

სხდომის დაწყების დრო: 11.00

სხდომის დასრულების დრო: 12.30

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვალენტინა საყვარელიძე – აკადემიურის საბჭოს თავმჯდომარე, თჰუ რექტორი;
2. კახი ყურაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
3. ილონა საყვარელიძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
4. ტატიანა ზუბიაშვილი (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
5. მაკა კაჭარავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
6. ირინა ჯობავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
7. ირმა დიხამინჯია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
8. მადონა გელაშვილი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი).

ქვორუმი: 5

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი)

მოისმინეს: პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ სამართლის ფაკულტეტის 2017 წლის 11 დეკემბრის N 17 გადაწყვეტილებით წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. კერძოდ, შეიცვალა ერთი სასწავლო დისციპლინის სახელწოდება და სილაბუსის შინაარსი, რამაც გამოიწვია პროგრამის მოდიფიცირება და მის კურიკულუმში ცვლილების შეტანა; კერძოდ, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნული დაცვის მექანიზმების“ სასწავლო კურსს ეწოდა „ადამიანის ძირითადი უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები“. აღნიშნულ სასწავლო კურსს წაიყვანს საჯარო სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი კ. ყურაშვილი. მან აღნიშნა, სილაბუსში გაიზარდა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და ევროპული ნორმატიული და ინსტიტუციური მექანიზმების სწავლებისათვის განკუთვნილი საათების ოდენობა, ყურადღება გამახვილდა უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმებიდან ყველაზე ახალზე - ანტი-დისკრიმინაციულ



კანონსა და თანასწორობის ეროვნული მექანიზმის ინსტიტუტზე; ადამიანის ცალკეული ძირითადი უფლებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან შეთავაზებულია, მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტთან შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ჭრილში, არაადაპტირებული პრეცედენტული სამართლის წყაროებით. შესაბამისად, გადახალისდა გამოსაყენებელი ლიტერატურა, სწავლების მიზანი.

მომხსენებელმა წარმოადგინა მოდიფიცირებული საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა დანართი N1-ის სახით და აღნიშნული საკითხები დააყენა კენჭისყრაზე.

აზრი გამოთქვა: პროფ. ვ. საყვარელიძემ

კენჭისყრის შედეგი: ერთხმად

გადაწყვეტის:

1. მოდიფიცირდეს სამართლის ფაკულტეტის მიერ რეალიზებული საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სახით (დანართი N1);
2. ამოქმედდეს მოდიფიცირებული პროგრამა აკრედიტაციის მოპოვების შემთხვევაში;
3. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
4. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

აკადემიური საბჭოს მდივანი:



ვ. საყვარელიძე

კ. ყურაშვილი